ოქმი N16

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2016 წლის 22 ნოემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 30 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ რეგისტრაციის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - მუნიციპალიტეტის გამგებელის მოვალეობის შემსრულებელი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი; თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2016 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 იანვრის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი; თანამომხსენებელი: შ. კანკია - გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის,ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავჯდომარე);

7. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი; თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 30, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ რეგისტრაციის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ რეგისტრაციის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ მიერ საკრებულოს თავმჯდომარეს წარედგინა ფრაქციის სხდომის ოქმი, ფრაქციისთვის სახელის შეცვლისა და წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, შესაბამისად კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ რეგისტრაციის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმად საკრებულოს ბიურომ უზრუნველყო ფრაქციის ცვლილების რეგისტრაციას, ხოლო კომისიის მიერ მომზადებული პროექტი საკრებულოს წარედგინება ცნობის სახით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონებს და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი წარდგენა ცნობის სახით.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - მუნიციპალიტეტის გამგებელის მოვალეობის შემსრულებელი; თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური)

ე. ჯობავა - გამომსვლელმა უკმაყოფილება გამოთქვა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის (დ. ჭოჭუა) სხდომაზე დაგვიანების გამო და აღნიშნა, რომ სთხოვა მათ პატივისცემა გამოიჩინონ საკრებულოს წევრების მიმართ და დროულად გამოცხადდნენ საკრებულოს სხდომაზე

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განმარტებითი ბარათი და დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საფინანსო-სარევიზიო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები მუხლიდან „საშემოსავლო გადასახადი“ 530.0 ათასი ლარით და მუხლიდან „პროცენტები“ 100.0 ათასი ლარით. მცირდება ბიუჯეტში გადასახდელები 195.0 ათასი ლარით, კერძოდ, პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ ასიგნებები. გამონთავისუფლებული და შემოსავლების ზრდით მიღებული, სულ 825.0 ათასი ლარი, მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: 788.0 ათასი ლარი - პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ ასიგნებებზე. კერძოდ, ქვეპროგრამის „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნებაზე. 37.0 ათასი ლარი მიიმართება პრიორიტეტის „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ ასიგნებებზე, კერძოდ, ქვეპროგრამის „ავადმყოფთა სოციალური დახმარება“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სოციალური დახმარება ასიგნებაზე“. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის

განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, ანუ შემოსულობების გეგმა გაიზარდა 630,0 ათასი ლარით და შეადგინა 13521,7 ათას ლარი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კომისიას სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

აზრი გამოთქვეს: ვ. გაბედავა - გამგებლის პირველი მოადგილე - შემოვიდა წინადადებით, რომ წარმოდგენილი ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის დადგენილებითი ნაწილის მე-2 მუხლში შევიდეს ცვლილება და დადგენილების ამოქმედების ვადად ნაცვლად გამოქვეყნებისა განისაზღვროს მიღებისთანავე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი წინადადება, ბიუჯეტის პროექტის მე-2 მუხლის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბების თაობაზე „დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე".

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 30, წინააღმდეგი – 0

კენჭი ეყარა წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტს ცვლილების გათვალისწინებით

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 30, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N22 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი; თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან

რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობის განმარტებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 29 საბავშვო ბაღიდან, 16-ზე უზუფრუქტის წესით გადაცემულია შენობა-ნაგებობა, 13 საბავშვო ბაღიდან 8 განთავსებულია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, ხოლო 5 სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობაში. გამგეობის მხრიდან მიზანშეწონილად ჩაითვალა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების გარკვეული ფართები უზუფრუქტის წესით გადაეცეს ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებას, რაზედაც მათი მხრიდან მომზადებულია წარმოდგენილი პროექტი. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ხურცილავა, ტ. ალექსანდრია, ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N54 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი; თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ცატავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ცატავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №319 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს აპარატში განხორციელდა სათანადო აქტივობები, რაც ითვალისწინებდა ყველა მოხელისა და მათი ხელმძღვანელების მხრიდან ტრენინგ საჭიროებების განსაზღვრის კითხვარების შევსებას, მათ საფუძველზე ტრენინგ-საჭიროებათა განსაზღვრისთვის განკუთვნილი მონაცემთა შეყვანისა და დამუშავების ბაზის ფორმირებას და სათანადო ანალიზის საფუძველზე შედეგების შეჯამებას. შემაჯამებელი შედეგებით, 2017 წლისთვის იგეგმება 58 მოხელის კვალიფიკაციის ამაღლება, რომლის უზრუნველყოფის მიზნით, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“. მოხელეთა სწავლების საჭიროებათა კვლევისა და სისტემატიზაციისთვის, მუნიციპალიტეტის წლიური სასწავლო გეგმა იგზავნება სსიპ - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრში და საჯარო სამსახურის ბიუროში. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე გატანა დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ხურცილავა, ქ. ოდიშარია, ა. ნაჭყებია, ნ. შუშანია, ი. ნადარაია, კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N55 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2016 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 იანვრის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი; თანამომხსენებელი: შ. კანკია - გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის,ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2016 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 იანვრის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ლაგვილავა - გამომსვლელი დაინტერესდა, უახლოეს დღეებში მომხდარი სტიქიის (ქარი) შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის იყო თუ არა თანხები გათვალისწინებული?

შ. კანკია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ ზარალთან დაკავშირებით, მუშაობს გამგეობის შესაბამისი სამსახური, ზარალი დაითვლება დეტალურად და მიყენებული ზარალის შესაბამისად გაეწევა ოჯახებს დახმარება.

ვ. გაბედავა - გამგებლის პირველმა მოადგილემ, აღნიშნა, რომ სტიქიამ სამწუხაროდ ზარალი მიაყენა, როგორც მოსახლეობას, ასევე სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებსაც, სტიქიის შედეგად მიყენებულ ზარალს ითვლის გამგეობის შესაბამისი სამსახური და თუ აღმოჩნდება, რომ მიყენებული ზარალის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის

ფინანსურ შესაძლებლობას, ამ შემთხვევაში თანხის დაფარვის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი ხელისუფლება მიმართავს ცენტრალურ ხელისუფლებას.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის განმარტებით ხობის მუნიპალიტეტის გამგეობაში არაერთი განცხადებაა შემოსული მოქალაქეთა მხრიდან, საოპერაციო თანხების ნაწილობრივ დაფინანსების თაობაზე. 2016 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით გაცემული საგარანტიო წერილებით აღნიშნულ დახმარებაზე გამოყოფილი თანხა არასაკმარისი აღმოჩნდა, რის გამოც გამგეობის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2016 წლის მუნიციპალური პროგრამის საოპერაციო თანხების ნაწილობრივ დაფინანსების მუხლში დასამატებლად 65 000 ათასი ლარის მოძიება და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება განისაზღვრა 115000 ლარით. ასევე „C“ ჰეპატიტით დაავადებულთათვის საჭირო გამოკვლევების დაფინანსება“ (პროგრამული მკურნალობის დასაწყებად დახმარებაზე გამოყოფილი თანხა) მუხლში თანხა არასაკმარისი აღმოჩნა, რის გამოც უსახლკაროდ დარჩენილთა, (რომლებიც საჭიროებენ თავშესაფარს და აქვთ გაკეთებული განაცხადი შესაბამის სტრუქტურებში) ყოველთვიური ბინის ქირის გადასახადის მუხლში არსებული ეკონომიიდან 10800 ლარის, ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარების მუხლში არსებული ეკონომიიდან 10000 ლარის და 0-18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარების მუხლში არსებული ეკონომიიდან 2500 ლარის გადმოტანა „C“ ჰეპატიტით დაავადებულთათვის საჭირო გამოკვლევების დასაფინანსებლად, შესაბამისად ეს ეს მუხლი განისაზღვრება 39050 ლარით. შემოსული განცხადებებიდან გამომდინარე სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებზე წყლის ხარჯის ანაზღაურების მუხლში გამოყოფილი თანხაც ასევე არასაკმარისი აღმოჩნდა, რის გამოც განხორციელდა მრავალშვილიანთა დახმარების მუხლში არსებული ეკონომიიდან 1650 ლარის, არასრულწლოვან ობოლთა დახმარების მუხლში არსებული ეკონომიიდან 400 ლარის, 100 წლის და 100 წელზე მეტი ასაკის მოქალაქეთა დახმარების მუხლში არსებული ეკონომიიდან 750 ლარის გადმოტანა აღნიშნულ მუხლში, რის საფუძველზეც სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებზე წყლის ხარჯის ანაზღაურების მუხლი განისაზღვრება 8800 ლარით. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი

მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ხურცილავა, ქ. ოდიშარია, ა. ნაჭყებია, ი. ნადარაია, კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N56 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავჯდომარე);

მოისმინეს: ლ. ცატავა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 2017 წლის 1 იანვარს ძალაში შედის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი, რომლის საფუძველზეც საჯარო სამსახურში დასაქმებულთა დასახელებები და კატეგორიები იცვლება სრულიად, კერძოდ: კანონის განმარტებით, საჯარო მოსამსახურე არის პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ან/და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი. პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე განიმარტება, როგორც „პირი, რომელიც უვადოდ ინიშნება მოხელისათვის განკუთვნილ საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, რომელიც ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს, როგორც თავის ძირითად პროფესიულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს მის მიერ საჯარო ინტერესების დაცვას, და რომელიც ამის სანაცვლოდ იღებს შესაბამის ანაზღაურებას და სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს“, ხოლო „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული

პირი“ განმარტებულია, როგორც „პირი, რომელსაც საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული აქვს საჯარო დაწესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება“. გამომდინარე ზემო აღნიშნულიდან დამხმარე მოსამსახურე საჯარო დაწესებულებაში საქმდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, განსხვავებით ამჟამინდელი საკრებულოს აპარატში დამხმარე მოსამსახურისთვის შტატით გათვალიწინებული თანამდებობისა, ესენი არიან ტექნიკური მუშაკი ტექნიკური მომსახურების საკითხებში და დამლაგებელი. შესაბამისად, მიზანსეწონილად იქნა მიჩნეული საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული უფროსი სპეციალისტის შეტანილ უნდა იქნეს საშტატო ნუსხაში, ხოლო ტექნიკური პერსონალი დასაქმდეს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან ზემო აღნიშნული ცვლილების შემთხვევაში, საშტატო ნუსხაში უმჯობესი იქნება გათვალისწინებულ იქნეს წამყვანი სპეციალისტის შტატი, რადგანაც ეს შესაძლებლობას მოგვცემს საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დადგენილი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, კონკურსის წესით, მიღებულ იქნეს უფრო მაღალი კვალიფიკაციის კადრი. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ მომზადებული პროექტი შეესაბამება კანონის მოთხოვნებს და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, გ. ხურცილავა, ქ. ოდიშარია, ა. ნაჭყებია, ი. ნადარაია, კ. ლატარია, მ. ფილიპია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N57 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ცატავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ცატავა - საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს ახალი კანონის ძალაში შესვლიდან, 2017 წლის 1 იანვრიდან იცვლება საჯარო სამსახურში დასაქმებულთა დასახელებები და კატეგორიები, კერძოდ: კანონის განმარტებით, საჯარო მოსამსახურე არის პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ან/და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი. პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე განიმარტება, როგორც „პირი, რომელიც უვადოდ ინიშნება მოხელისათვის განკუთვნილ საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, რომელიც ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს, როგორც თავის ძირითად პროფესიულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს მის მიერ საჯარო ინტერესების დაცვას, და რომელიც ამის სანაცვლოდ იღებს შესაბამის ანაზღაურებას და სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს", ხოლო „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი" განმარტებულია, როგორც „პირი, რომელსაც საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული აქვს საჯარო დაწესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება". ახალი კანონმდებლობით, დამხმარე მოსამსახურე საჯარო დაწესებულებაში საქმდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, განსხვავებით ამჟამინდელი დამხმარე მოსამსახურისთვის შტატით გათვალიწინებული თანამდებობისა. საქართველოს კანონმდებლობაში 2017 წლის 1 იანვრისთვის დაგეგმილმა ცვლილებებმა წარმოშვა აუცილებლობა გამგეობის საშტატო

ნუსხიდან დამხმარე მოსამსახურეთათვის გათვალისწინებული თანამდებობების (სულ 7 თანამდებობა) ამოღებისა, შემდგომში ამ თანამდებობებზე დასაქმებულთა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმების აუცილებლობის გამო, ხოლო პარალელურად, ხორციელდება მიმდინარე პერიოდისთვის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ იმ პირთა საშტატო ნუსხაში დამატება, რომლებიც ფუნქციურად საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს ახორციელებენ (სულ 2 პირი). განსახორციელებელი ცვლილებების შედეგად, გამგეობის საშტატო ნუსხა მცირდება 5 საშტატო ერთეულით, მათ შორის, მცირდება ადმინისტრაციული სამსახურის საშტატო თანამდებობათა რიცხოვნობა 7 ერთეულით და იზრდება ადმინისტრაციული სამსახურის საშტატო თანამდებობათა რიცხოვნობა 1 ერთეულით, ხოლო წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის საშტატო თანამდებობათა რიცხოვნობა - 1 ერთეულით. ზემოთ აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლლის განცხადებით, გამგეობის მიერ პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, გ. ხურცილავა, ქ. ოდიშარია, ა. ნაჭყებია, ი. ნადარაია, კ. ლატარია, კ. მიქაბერიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N58 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა

მესამე მოწვევის საკრებულოს 2016 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. ლაშა ცატავა
7. თენგიზ აბაკელია
8. ლევან ქავთარაძე
9. ვასილ კუკავა
10. ნუგზარ შუშანია
11. თემურ გულუა
12. როსტევან გვარამია
13. გიორგი ხურცილავა
14. მალხაზ ყურუა
15. ლეონიდე ლოლუა
16. შადიმან ჭილაია
17. ჯემალ ნადარაია
18. მელორ გელანტია
19. ალექსანდრე ნაჭყებია
20. გენადი ქაძანაია
21. გენად ზარანდია
22. ფრიდონ შონია
23. ქეთევან ოდიშარია
24. მზია ლემონჯარია
25. იგორ გოგოლაძე
26. ბეჟან ქირია
27. ირაკლი ნადარაია
28. კახა მიქაბერიძე
29. კახა ლატარია
30. მერაბ ფილიპია